




2010 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 307 628 აღწევს, რაც 13 445 ერთეულით (4.6%) აღემატება 2010 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულ მონაცემს.


2003-2009 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 188 595 ერთეულით (179 %) გაიზარდა.

2010 წლის 1 აპრილის მონაცემებით, რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების უდიდესი ნაწილი - 46.1 პროცენტი თბილისზე მოდის, დანარჩენ რეგიონებზე კი შემდეგნაირად ნაწილდება: იმერეთი - 12.0 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 8.3 პროცენტი, ქვემო ქართლი - 8.0 პროცენტი, აჭარის არ - 5.9 პროცენტი, კახეთი - 5.5 პროცენტი, შიდა ქართლი - 4.9 პროცენტი, გურია - 2.6 პროცენტი, მცხეთა-მთიანეთი - 2.3 პროცენტი, სამცხე-ჯავახეთი - 2.2 პროცენტი, აფხაზეთის არ - 1.5 პროცენტი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0.7 პროცენტი.

ეკონომიკური სუბიექტები



განაწილება რეგიონების მიხედვით



* 2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით